პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 400.000 მან.

№ 232 ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი № 232

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

მთავარი პანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 5 – 43.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლეკტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ერვონცებით.

დღიური

მოსკოვში ჩამოვიდა ჩინელი პროფესორი ლიუ, რომელსაც დავალებული აქვს საბჭოთა კავშირში განათლების საქმეთა დარგში ურთიერთობანი ნებასთან გაცნობა.

ოსმალეთი გამოცხ დებულია რესპუბლიკად.

პორტუგალიაში მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო.

სტინესმა დაიწყო მოლაპარაკება გენერალ დეგუტთან რურში მუშაობის განახლების შესახებ.

ინტერნაციონალი

ინგლისი-საბჭოეთები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

უკანასკნელი ცნობებით, ნაციონალისტებს განზრახული ჰქონდათ შეექმნათ კაბინეტი სტინესის მომხრეებიდან, მაგრამ შემდეგ ხელი აიღეს ამ განზრახვაზე, რამაც ხელი შეუწყო დიდი კოალიციის აღდგენას.

გერმანიის საკავშირო საბჭომ მიიღო კანონი „მტკიცე ძალა-უფლების“ შექმნის შესახებ.

საქსონიაში მუშურ-გლეხური მთავრობისათვის ბრძოლა გრძელდება. მთავრობაში შედიან კომუნისტები, რომელთაც დაეთმოთ შრომისა და განათლების მინისტრთა პორტფელი.

დიუსელდორფში დაიწყო მოლაპარაკება სტინესსა და დეგუტს შორის რურის ოლქში მუშაობის განახლების შესახებ.

დიდი კოალიციის აღდგენა

კაბინეტი უდღეურია.

ბერლინი. 7 ოქტომბერი. ვიდრე დემოკრატები და ცენტრის პარტიები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას სოციალისტებთან დიდი კოალიციის აღდგენის შესახებ, გერმანიის ნაციონალისტები სტინესის მეთაურობით (სახალხო პარტიის მემარჯვენე ფრთა) ამზადებდნენ სტინესის კაბინეტის შედგენას. უკანასკნელ მომენტში ნაციონალისტები უარს ამბობდნენ სტინესის კანდიდატურის წამოყენებაზე, რამაც გაადვილა შტრეზემანის კაბინეტის შედგენის საქმე. უკანასკნელ ხანებში განახლდა მოლაპარაკება მემარჯვენე პარტიებს შორის. როგორც ი კომპრომისი იქნება გამონახული, მოსალოდნელი გახდება მემარჯვენე პარტიების აშკარა გამოსვლა.

პარტია, რომელიც ყველაფრით კმაყოფილდება.

ბერლინი. 7 ოქტომბერი. გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რეიხსტაგის ს.-დ. ფრაქციის დადგენილება დიდ კოალიციის მთავრობაში შესვლის შესახებ.

რეიხსტაგში

კაბათი შტრეზემანის მოხსენების გამო.

ბერლინი. 9 ოქტ. გუშინ რეიხსტაგი კანცლერ შტრეზემანის დეკლარაციის გარჩევას შეუდგა.

პირველ ორატორად გამოვიდა ბრეიტშეიდი (სოციალ-დემოკრატი), რომელმაც თავისი პარტიის სახელით განაცხადა, რომ სავსებით იწონებს პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტას. სხვათა შორის ბრეიტშეიდმა განაცხადა, რომ ფრანგების მიერ მოწყობილ სეპარატისტულ გამოსვლებს არ შეუძლია აიძულოს რეინის ოლქ-ს მოსახლეობა გერმანიისაგან გამოყოფაზე.

შემდეგ ორატორმა განაცხადა, რომ პუანკარე ყოველგვარ შეთანხმებას ეწინააღმდეგება გერმანიაში ქოსის აღმოცენების იმედით. დაუშვებელია, რომ ერთი კაცის ბეკი პოლაკის გამო დაიღუპოს მთელი გერმანია, და მეტიც—მთელი ევროპა. გერმანიამ ამიტომ, რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა მიაღწიოს საფრანგეთთან უშუალო მოლაპარაკებას, სოციალ-დემოკრატებმა დიდი ბრძოლის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათ პარტიაში, მათი პოპულიარობის დაკარგვის მუქარის წინაშე მაინც გადასწყვიტეს მთავრობაში შესვლა იმიტომ, რომ ესწრაფვიან მუშათა კლასის ინტერესების დაცვისაკენ.

ცენტრის ორატორმა—ბელმა აგრეთვე გამოსთქვა სრული თანხმობა პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტაზე და განაცხადა, რომ გერმანია, რომელსაც სურს გიგოს,—რა უნდა შეასრულოს კიდევ მან, იმის თვის, რომ დამტკიცოს თავისი კეთილი ნება-სურვილი, მიუხედავად მთელი წარსული ჩარე გამოცდილებისა, სცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო მისი განზრახვების სიწმინდეში და თავისი ვალდებულებათა ასრულების სურვილში.

ნაციონალისტთა წარმომადგენელმა გრაფ ვესტარპმა თავისი პარტიის სახელით განაცხადა, რომ პარტია დგას მთავრობისადმი სრული ოპოზიციის ნიადაგზე.

კანონი „მტკიცე ხელისუფლების“ შესახებ

ბერლინი. 9 ოქტ. ორშაბათს რეიხსტატის (საკავშირო საბჭოს) საღამოს სხდომაზე დიდი უმრავლესობით მიღებული იყო კანონი „მტკიცე ხელისუფლების“ შესახებ. კანონი ვრცელდება საფრანგსა, სამრეწველო და სოციალური დარგებზე, გარდა კანონდებლობისა სამუშაო დროს შესახებ. კანონის ძალების წინააღმდეგ ხმა მისცეს პრუსიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა და ბავარიის და მაკლენბურგ—სტრელიცის წარმომადგენელმა. ტიურინგიის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს. მიღების შემდეგ კანონპროექტი რეიხსტაგს გადაეცა.

რეიხსტაგი და კანონი „მტკიცე ხელისუფლების შესახებ“.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. როგორც სჩანს, კენჭის ყრა „მტკიცე ხელისუფლებისა“ კანონისათვის, რომლის ძალით კაბინეტს საგანგებო უფლებები ენიჭება, მოხდება დღეს. კანონის მიღება ჩაითვლება შტრეზემანის კაბინეტისადმი რეიხსტაგის ნდობის გამოცხადებად. კანონის მიღების შემდეგ რეიხსტაგის მუშაობა გადაიდება.

სტინესის კარნახით.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. ნაციონალიერმა ეკონომიურმა საბჭომ, რომლის ერთერთი წევრი სტინესია, 46 ხმის უმრავლესობით 17 ხმის წინააღმდეგ დაადგინა ჩაითვალოს საპასიერო ხელსაყრელი პირობების მომზადება შტრეზემანის მთავრობისათვის „მტკიცე ხელისუფლების“ კანონზე კენჭის ყრის დროს, რომლის ძალით მთავრობას ეძლევა იმპერიის კონსტიტუციისა და რეიხსტაგის უფლებების დროებითი და ნაწილობრივ უარყოფის საგანგებო რწმენება.

მუშურ-გლეხური მთავრობისათვის ბრძოლა გრძელდება

საქსონიის ახალი კაბინეტის შედგენა.

ბერლინი. 7 ოქტომ. საკითხი საქსონიის მთავრობაში კომუნისტების შესვლის შესახებ, საბოლოოდ გადაიჭრა. სამშაბათს ლანდტაგის წინაშე წარსდგება ახალი კაბინეტი. ფიქრობენ, რომ კომუნისტები ძიიღებენ განათლების და შრომის მინისტრების პორტფელებს, შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი სოც.-დემოკრატების ხელში დარჩება.

პროლეტარული პარტიების გაერთიანების დასაწყისი.

ბერლინი. 7 ოქტ. სოციალ დემოკრატების ორგანო „დრესდენერ ფოლკსციტუნგი“, ესაალმება სოციალ-დემოკრატების და კომუნისტების კოალიციას და გამოსთქვამს იმედს, რომ ეს კოალიცია იქნება პროლეტარულ პარტიების გაერთიანების დასაწყისი.

ციეგნერის ახალი გამოსვლა.

ბერლინი. 7 ოქტ. ჰესლერმა უარჰყო საქსონიის მთავრობის შუამდგომლობა საქსონიაში სამოქალაქო კომისარის დანიშვნის შესახებ. ამის გამო ციეგნერი გამოვა საქსონიის ლანდტაგში და გაბათილებს ხმებს რეიხსვერსა და ფაშისტებს შორის კავშირის შესახებ.

შავ განაკში

კარის ამოცანები.

ლონდონი. 8 ოქტ. ბავარიის დიქტატორმა კარმა განუცხადა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს, რომ მისი პოლიტიკა მიმართულია ისეთი ძლიერი გერმანიის შექმნისაკენ, რომელიც დაამტკიცებს, რომ ის არასოდეს არ ყოფილა მსოფლიო ომის გამომაწვიეი. კარის სურს, რომ სახელმწიფო საკმაოთ ძლიერი იყოს „მძარცველთა თავდასხმის მოგერიებისათვის“. „მძარცველებს“ კარი, როგორც სჩანს, უწოდებს ფრანგებს. შემდეგ კარმა განაცხადა, რომ თავისი მიზნის—ძლიერი გერმანიის შექმნის—მისაღწევათ, ის მზათ არის ყოველი ძალებით და საშუალებით ებრძოლოს სოციალიზმს, რომელთანაც არ შეიძლება არც თანამშრომლობა, არც კომპრომისი. კარის აზრით, საკითხი მონარქიის შესახებ დროებით დატოვებულ უნდა იქნეს. მონარქიის რესტავრაციის მომხრეებმა დროებით უნდა გადასდონ მათი მიზნების განხორციელება. ამავე აზრს იზიარებენ პრინცი რუპრეტი და რესტავრაციის სხვა მომხრეები, რომლებმაც დაავალეს კარს ამ გადადების განხორციელება. კარმა განაცხადა, რომ ის ფიქრობს გადაახალისოს გერმანია ძველ ბისმარკულ სიფუძველზე.

ეს განაცხადა კარმა უცხოეთის და გერმანიის ჟურნალისტებთან, რომელთაც ხელსაყრელი პირობების მომზადება შტრეზემანის მთავრობისათვის „მტკიცე ხელისუფლების“ კანონზე კენჭის ყრის დროს, რომლის ძალით მთავრობას ეძლევა იმპერიის კონსტიტუციისა და რეიხსტაგის უფლებების დროებითი და ნაწილობრივ უარყოფის საგანგებო რწმენება.

მუშურ-გლეხური მთავრობისათვის ბრძოლა გრძელდება

საქსონიის ახალი კაბინეტის შედგენა.

ბერლინი. 7 ოქტომ. საკითხი საქსონიის მთავრობაში კომუნისტების შესვლის შესახებ, საბოლოოდ გადაიჭრა. სამშაბათს ლანდტაგის წინაშე წარსდგება ახალი კაბინეტი. ფიქრობენ, რომ კომუნისტები ძიიღებენ განათლების და შრომის მინისტრების პორტფელებს, შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი სოც.-დემოკრატების ხელში დარჩება.

პროლეტარული პარტიების გაერთიანების დასაწყისი.

ბერლინი. 7 ოქტ. სოციალ დემოკრატების ორგანო „დრესდენერ ფოლკსციტუნგი“, ესალმება სოციალ-დემოკრატების და კომუნისტების კოალიციას და გამოსთქვამს იმედს, რომ ეს კოალიცია იქნება პროლეტარულ პარტიების გაერთიანების დასაწყისი.

ციეგნერის ახალი გამოსვლა.

ბერლინი. 7 ოქტ. ჰესლერმა უარჰყო საქსონიის მთავრობის შუამდგომლობა საქსონიაში სამოქალაქო კომისარის დანიშვნის შესახებ. ამის გამო ციეგნერი გამოვა საქსონიის ლანდტაგში და გაბათილებს ხმებს რეიხსვერსა და ფაშისტებს შორის კავშირის შესახებ.

შავ განაკში

კარის ამოცანები.

ლონდონი. 8 ოქტ. ბავარიის დიქტატორმა კარმა განუცხადა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს, რომ მისი პოლიტიკა მიმართულია ისეთი ძლიერი გერმანიის შექმნისაკენ, რომელიც დაამტკიცებს, რომ ის არასოდეს არ ყოფილა მსოფლიო ომის გამომაწვიეი. კარის სურს, რომ სახელმწიფო საკმაოთ ძლიერი იყოს „მძარცველთა თავდასხმის მოგერიებისათვის“. „მძარცველებს“ კარი, როგორც სჩანს, უწოდებს ფრანგებს. შემდეგ კარმა განაცხადა, რომ თავისი მიზნის—ძლიერი გერმანიის შექმნის—მისაღწევათ, ის მზათ არის ყოველი ძალებით და საშუალებით ებრძოლოს სოციალიზმს, რომელთანაც არ შეიძლება არც თანამშრომლობა, არც კომპრომისი. კარის აზრით, საკითხი მონარქიის შესახებ დროებით დატოვებულ უნდა იქნეს. მონარქიის რესტავრაციის მომხრეებმა დროებით უნდა გადასდონ მათი მიზნების განხორციელება. კარმა განაცხადა, რომ ის ფიქრობს გადაახალისოს გერმანია ძველ ბისმარკულ სიფუძველზე.

ბავარიის ფაშისტური დიქტატურა.

ბერლინი. 7 ოქტ. ბავარიის დიქტატორმა კარმა განაცხადა ლონდონის ბავარიის ნაციონალისტების ორგანოს ბაიერ ბოტენ-ის ფაშისტური ორგანიზაციებით. გენერალი სეტტი ამზადებს ეხლა სახელმწიფოებრივ გადატრიალებას დარწმუნებულია რა, რომ 12-ე საათმა დაჰკრა.

კონტრ-რევოლიუციის ძალები ემზადებიან გენერალური ბრძოლა მისცენ გერმანიის პროლეტარიატს, აჟურორენ რა მის ყურადღებას უფრო ნაკლებად ძლიერ ფაშისტურ ძალების გამოსვლებისაკენ, როგორც მაგ. კიუსტრინის ავანტიურა, რათა უფრო ადვილად გაანადგურონ საქსონია და ტიურინგია ან პროვოკაციულად ჩაითრიონ ბრძოლაში პროლეტარიატის დაქსაქსული ჯგუფები. გერმანიის მუშათა კლასმა უნდა დაუპირდაპიროს საშიშროებას შეკავშირებული რიგები. საქსონიაში მოსალოდნელია მუშურ მთავრობის შედგენა კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების შემადგენლობით, რაც ამტკიცებს იმას, რომ მუშური სოციალ-დემოკრატული მასა ემზადება წინააღმდეგობის გასაწევად

ცენტრალურ ფაშიზმის ორგანიზაციები სცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ ისინი მოახერხებენ მუშათა კლასის განადგურებას. მუშათა კლასის ხარჯზე, ანტანტის დახმარებით, ფაშისტები შესძლებენ განმტკიცებას მახლობელ წლების განმავლობაში. მაგრამ პუანკარეს არ შეუძლია მათ-თვის დახმარების გაწევა, ვინაიდან მან გააღვივა ნაციონალისტური შეღლი პრუსიის მილიტარიზმის წინააღმდეგ. და თვითონაც ეშინია გერმანიის მსხვილ მრეწველობაში იუნკერების ბატონობის აღდგენის. საშოქალაქო ომის დროს ამერიკის და ინგლისის კაპიტალისტები კრედიტებს არ მისცემენ ფაშისტებს. და ამიტომ ეს დიქტატურა ფინანსიურად უძლური იქნება და მთელ სიმძიმეს იგი გადაიტანს მუშათა კლასსა და ფვრილ ბურჟუაზიაზე, რითაც ეს უკანასკნელები ჩამოშორდებიან მას.

დაიწყება ბრძოლა ჰიტლერის წვრილ ბურჟუაზიულ პარტიასა და სექტის დიქტატურის შორის. ბრძოლა გაძლიერდება, როდესაც ფვრილ-ბურჟუაზიული მასები დაინახავენ, რომ ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობა არის ნაციონალურ მოლალტეების მთავრობა. ეს დიქტატურა ვერ მისცემს მათ პურს, უმუშევრებს ვერ მისცემს სამუშაოს—ვინაიდან იგი დატაკია, სამოქალაქო ომით იგი ჩაჭაკლავს ბრეწველობას. მუშათა კლასი აგროვებს თავის ძალებს, რაზმავს მათ და ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ ყამოიყენებს მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგს, დაეყრდნობა რა მცხოვრებთა უმრავლესობის თანაგრძნობას, თავის დარაზმულობას და შედგომარეობის სირთულეს. მუშათა კლასი ჩამოიგლეჯს ყელზე ფაშისტურ მარყუჟს“.

ალ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 12 ოქტომბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დასმულ იქნეს დღის წესრიგში: **ხაკითხი ხაკართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის შე'ახებ.**

მასალები დაეგზავნება რაიკომებს ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება

ტფილისის კომიტეტის ხაგაგანაცო-ხაბრიპაგანდო განყოფილების გაფართოებული ხხდომა

ოქტომბრის ზეიმის გაატარების შესახებ

მოწვეული არიან წინამძღოლთა, მუშათა, კომკავშირის წევრთა კლუბების გამგეები და დრამატიული წრეების ხელმძღვანელები.

დღის წესრიგი:

პროგრამის შემუშავება ზეიმის ჩასატარებლათ ადგილებზე.

მოწვეულებმა თან უნდა იქონიონ არსებული რეპერტუარის სიები და ანას გარდა [illegible] სცენარები ზეიმთან დაკავშირებულ თემებზე.

ბ. ეხსენი.

პარლამენტარიზმის საბოლოო გაკოტრება

ოსოდეს არ ყოფილა ეს ისე ფალსაჩინო, როგორც ამ ბოლო ანებში.

 მსოფლიო ომის შედეგებით გაბოწვეულ უაღრესი ეკონომიური კრიზისის და სოციალურ ძალთა წინააღმდეგობის უკიდურესობამდე გამწვავების პირობებში ბურჟუაზიისათვისაც უმწეო და გამოსადეგი გახდა ის ნიღაბი პარლამენტარიზმის და „დემოკრატიის“, რომელსაც ის ამდენხანს ეფარებოდა თავისი ბატონობის, ფაქტიური დიქტატურის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

არსებული წესწყობილების დასამხობად ამდგარ რევოლიუციონურ პროლეტარიატს ასალგამად ბურჟუაზიამ აუცილებლად დაინახა უფრო ბასრი იარაღის ხმარება, უფრო პირდაპირი საშუალების გამოყენება, ვინემ საკმაოდ მოუხეშავი აპარატი ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის.

ის თავს ანებებს პარლამენტარულ ლაყბობას, ფეხქვეშ სთელავს ე. წ. კონსტიტუციურ გარანტიებს, თავისუფლებებს და ალად დგება თავის დიქტატურის, სამხედრო რეჟიმის, თეორი ტერორის გზაზე.

ამის დამტკიცებელია ომისა და მთელი შემდეგი წლების ისტორია.

პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის საწინააღმდეგოდ, ბურჟუაზია ირაზმება ფაშიტურ ორგანიზაციებში. ფაშიზმი—ეს მეგვრმეტყველური უარყოფა პარლამენტარიზმის, ეს უკანასკნელი იმედია ბურჟუაზიის, რომელიც შავი რაზმების ხიშტის საბუალებით ლამობს გაახანგრძლივოს თავისი არსებობა და გასტეოს მუშათა კლასის წინააღმდეგობა.

ფაშიზმის მეთაურმა მუსოლინიმ განაცხადა, როცა მოახდინა იტალიაში ფაშისტური გადატრიალება: „მე შემიძლია პარლამენტი ჯავების საბანაკოდ გადავიქცია, თუ ეს საჭიროდ დავინახეთ; სხვა სიტყვებით რო ითქვას, მუსოლინი ამბობდა მუშურ პარლამენტს გარეკვით, თუ ის გაბედადა მის დიქტატურის წინააღმდეგ სიტყვის ამოღებას.

და ამის შემდეგ, ყურმოჭრილმა პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა ფაშიზმის დიქტატორს.

პარლამენტის ამაზე მეტი უძლურება, პარლამენტარიზმის იდეის ამაზე უფრო გამასხარავება და ტალახში ამოსვრა შეუძლებელია და წარმოუდგენელი.

ასეთი ამბები ხდება სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ავიღეთ, მაგ. ბულგარეთი, სადაც ჯერ წინად სისხლში იქნა ჩაფრობილი აჯანყებული პროლეტარიატი. იქ ნამდვილად არავითარ პარლამენტარულ რეჟიმს არა ვიერტსის“ სიტყვებით რომ ვსთქვათ „ძალადობის მთავრობაა“ გაბატონებული.

გერმანიის ერი უფსკრულის წინაშე სდგას. ერი, რომელიც წინათ (რასაკვრველია მისი გაბატონებული წრეების სახით) სხვა ვერ ერებს სჩაგრავდა, დღეს თვით არის ასეთ მდგომარეობაში და მის სხეულზე თარეშობს საფრანგეთის იმპერიალიზმი.

მაგრამ ყველაზე მწარეთ გრძნობს ამას გერმანიის წწრომელი ხალხი, პროლეტარიატი, რომლის კისერზე

ამხ. ბორის ძნელაძე

უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა რიგებს მოსწყდა ერთი დაუღალავი მეშაკი, ამხ. ბორის ძნელაძე. დიდი ხნის ძმეი ავადმყოფობამ უდროოთ იმსხვერპლა იგი. ვინ იყო ბორისი?

ამხ. ბორისს კარგათ იცნობდა ამიერკავკასიის, განსაკუთრებით კი საქართველოს, კომუნისტური ახალგაზრდობა. უბრალო ღარიბი გლეხის შვილი (გურიიდან) იყო. ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა, მაგრამ რევოლიუციონური ცეცხლით ანთებული და ენტუზიაზმით აღავსე, ის დგება რევოლიუციონურ რიგებში საბრძოლველათ. 4917 წ. ის აარჩევს სპარტაკელების ორგანიზაციას ტფილისში, ამ პირველ იაჩეიკას ახ. კომ. კავშირისა. ახალგაზრდათა სხვა ნაციონალისტურ ორგანიზაციებს ის უპირდაპირებს რევოლიუციონურ ორგანიზაციას. ბორისის სახით გვყავდა ჩვენ დაუღალავი ორკანიზატორი, რომელიც მუდამ იმის ცდასა და ფიქრში იყო, თუ როგორ შეეკავშირებია მეტი რიცხვი ახალგაზრდა მეშუბისა და გლეხებისა. მის ძალერბილში გამჯდარი იყო რევოლიუციონური სული, მას მთელი თავისი არსებით სძაგდა ლაქეები II ინტერნაციონალის ბანაკიდან. თავისი რევოლიუციონური ტემპერამენტით და ახალგაზრდული გატაცებით ის მუშაობს ხან ერთ და ხან მეორე ადგილას და ყოველგან ასრულებს პარტიის დავალებას. ამ მუშაობისათვის ის არა ერთხელ იქმნა დატუსაღებული და ციხეში მოთავსებული. ახალგ. კომკავშირის „ლეგალური“ ყრილობის მოწვევისათვის 1920 წ. მენშევიკების მიერ ის გადასახლებული იქნა ბაქოში. მაგრამ ბორისი დაც გადაარჩენს მთელი სიმძიმე გერმანიის ბურჟუაზიას. ამიტომაცაა, რომ პროლეტარიატი ემზადება გენერალურ ბრძოლისათვის იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ფარფაშობენ მის ზურგზე და რომლებმაც მიიყვანეს გერმანიის მშრომელი ხალხი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობამდე.

უკვე მოახლოვდა აღსასრულის ჟამი გერმანიის ბურჟუაზიისა და მემამულეების. თუ დღემდე გერმანიის მუშათა კლასს კიდევ ჰქონდა სოციალ-გამცემლების იმედი და მას სჯეროდა ყოველი მათი სიტყვა, დღეს, როდესაც მათმა პოლიტიკამ მიიყვანა ის უფსკრულამდე და შიგ გადაჩეხას უპირებს, უკვე გამოერკვია არსებულ ვითარებაში და კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ემზადება გადამწყვეტ იერიშების მისატანად კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეებზე. ის მოწოდებულია დღეს იხსნას თავის რევოლიუციათ მთელი გერმანიის მშრომელი ხალხი, როგორც შინაური, ისე გარეშე ჩაგვრელებისაგან.

ის უკვე ჩაება ამ გადამწყვეტ ბრძოლაში და დღეს ან ხვალ ააფრიალებს კომუნიზმის წითელ დროშას მთელს გერმანიაში; დაამხობს ბურჟუაზიის დიქტატურას და დაამკვიდრებს მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას.

და ამ დროს რა უნდა ვქნათ ჩვენ, იმ რესპუბლიკებმა, რომლებმაც უკვე შეგსძელით განთავისუფლება მყვლეფელების ბატონობისაგან. განა ჩვენ განზე გავდგებით და პილატესავით ხელს დავიბანთ? განა ჩვენ, რომლებიც საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის უდიდესი რეზერვი ვართ, მხოლოთ უბრალო მაყურებელი ვიქნებით გერმანიის პროლეტარიატის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლისა საერთაშორისო მჩაგვრელების წინააღმდეგ?

რასაკვირველია არა. ჩვენ მარტო სიტყვით როდი ვართ მსოფლიო რევოლიუციის რეზერვი, ჩვენ ნამდვილათ, საქმით ვართ ასეთი და, როდესაც მდგომარეობა ამას მოგვთხოვს, ჩვენც უეჭველათ უნდა გავანღოთ ჩვენი სიტყვა, ავასრულოთ დანაპირები. რასაკვირველია გერმანიის პროლეტარიატს არ სჭირია და არც დასჭირდება (ის ამისთვის საკმაოდ ძლიერია) ჩვენი დახმარება ფიზიკური ძალით შინაური ტრტრების წინააღმდეგ; ის თვითონაც გაუსწორდება მათ. მაგრამ მას დასჭირდება ჩვენგან ნივთიერი დახმარება; და ამისთვის კი ჩვენ, რომლებიც უკვე გამოცდილი ვართ და რომლებმაც გადვიტანეთ უდიდესი გაჭირვება ამ მხრივ, არაფერი არ უნდა დავიშუროთ. ყოველმა მუშამ და გლეხმა უნდა იცოდეს, რომ ყოველი კაპეიკი მისგან გაღებული გერმანიის პროლეტარიატისათვის დასახმარებლად დიდ ძალას შეატანს ამ უკანასკნელებს წმინდა საქმისათვის ბრძოლაში და შემდეგ საერთო გამარჯვების დასრულებისას ერთი ათათ და ასათ მიუზღობს ის თავის ერთგულ ძმებს. არ უნდა დავივიწყდეს, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენ მოუსავლიანობის გამო განვიცდიდით სასტიკ სიმშილობას, გერმანიის მუშათა კლასი, მიუხედავად თავისი გაჭირვებულ მდგომარეობისა, არ ვვტოვებდა უყურადღებოდ და მძიმე პირობებში მაინც გვიგზავნიდა თავის კაპეიკებს. დღეს კი ჩვენ ვალდებული ვართ არ დავიშუროთ ჩვენი მომძლეებისათვის ბრძოლაში არაფერი და რაც შეიძლება დიდი დახმარება გაუწიოთ ბრძოლის პოზიციებზე. მყოფ რევოლიუციონერებს.

მეორეთ,—თუ გერმანიის პროლეტარიატი არ საჭიროებს ჩვენს ფიზიკურ დახმარებას შინაურ ტრტრებთან ბრძოლაში, სამაგიეროთ გარეშე მტრების წინააღმდეგ, რომლებიც შემდეგ ჩვენც შემოგვიტევენ, მას უეჭველად ეჭვრება ჩვენგან ფიზიკური დახმარებაც. და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ საბრძოლველად მსოფლიო ყვავ-ყორნების წინააღმდეგ, რომლებიც შეეცდებიან სისხლში ჩაიღრჩონ გერმანიის პროლეტარული რევოლიუციონ. ხოლო რომ მსოფლიო ბურჟუაზიის შავი გენერლები შეეცდებიან „წესიერების“ აღდგენას გერმანიაში და ამისათვის კი არაფერს არ დაზოგავენ, ეს აღარავისათვის საეჭვო აღარ უნდა იყოს დღეს, მით უმეტეს ისეთი ცოცხალი და ახალი მაგალითის შემდეგ, როგორიცაა მშრომელი მასების აჯანყების ჩაქრობა ბოლგარეთში.

ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის. უნდა გვახსოვდეს ყველას კარგათ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირის ბედი გადაწყვეტილია საერთაშორისო რევოლიუციის ბედზე. საერთაშორისო რევოლიუციას კი გამოსახავს დღეს გერმანიის მუშათა კლასი. ამ უკანასკნელის დამარცხება ჩვენი დამარცხებაცაა. ამიტომ ვემზადოთ საერთაშორისო რევოლიუციის დასაცავად და მუდამ მშრალი გვქონდეს თოფის წამალი.

კ. კომუნაძე

„ფაშისტური დიქტატურა გერმანიაში“

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 8 ოქტომბერი. გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავე წერილში ამ სათაურით სწერს:

„2 ნახ. წლის აოსებობის შემდეგ დიდი კოალიციის მთავრობა გაკოტრდა და უარი სთქვა რურში წინააღმდეგობის გაწევაზე. მან ვერ გადასჭრა საკითხი სავალიუტო რეფორმის შესახებ, ვინაიდან ჰილფერდინგის წინადადებით კერძო ბანკის დაარსების შესახებ... (გამოტოვებულია). ესმოდა რა მასების პროტესტი გაზრდილ გადასახადების წინააღმდეგ, მთავრობა მოითხოვდა სამუშაო დღის გაგრძელებას, ხოლო ფაშიზმთან ბრძოლას ვერ ახერხებდა. მისმა ბრძოლამ კომუნისტების წინააღმდეგ მხოლოდ გააძლიერა უკანასკნელების გავლენა. მთავრობის მოლვაწეობის დროს მარკის კურსი ასჯერ დაეცა.

ბავარიაში ფაშისტური დიქტატურის გამოცხადება ნიშნავდა დიდი კოალიციის დასასრულის დასაწყისს. ძალთა განწყობილების ცვლილებამ გამოიყვანა სცენაზე გერმანიის ნაციონალური პარტია. ფაშისტურ გადატრიალებისათვის იგი მოითხოვს შტრეზემანის და სოციალ-დემოკრატების გასვლას მთავრობიდან, სამხედრო პირების და მრეწველთა დიქტატურის დამყარებას, 8 საათის სამუშაო ღის დგაუქმებას. პარლამენტი გამარჯვება შეიძლება შეიცვალოს პროლეტარიატის, ხალხის უმრავლესობის დიქტატურით, რომელიც ხელიდან გამოჭრა ბურჟუაზიას ძალაუფლებას დამორჩილებს მას და თავისებურად გადასწყვეტს გერმანიის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

გერმანიის ფაშიზმმა გაიმარჯვა. ეს არ ესმით ჯერ გერმანიის ყველა მუშებს. სოციალ-დემოკრატიის მოდალატე წინამძღოლებიც თავს იკატუნებენ, თითქოს მათაც არაფერი ესმოდეთ. კომპარტიის ამოცანას შეადგენს უთხრას მთელი ქვეყნის მუშებს:

„ნუ ელით ფაშისტურ გადატრიალებას, ვინაიდან იგი უკვე მოხდა“. გერმანიის ფაშიზმი ჩუმ-ჩუმად შეიოიპარა, რადგან მუშათა კლასის გულისყური მიმართული იყო ბავარიის ფაშიზმისაკენ; რომელიც გამოდიოდა ვიტელსბახების დროშის ქვეშ, საერთო გერმანიის ფაშიზმისაკენ, ჰოგენცოლერნების დროშის ქვეშ, და ლიუდენდორფის და ჰიტლერის ფაშიზმისაკენ. ამავე დროს ვითარდებოდა და მტკიცდებოდა გერმანიის ბურჟუაზიის ცენტრების ფაშიზმი, რომელიც მუშაობდა კანტაქტში მემამულეებთან, მწარმოებლებთან და რეიხსვერში (ჯარის) მას მეთაურობს შეგნებული ავანტიურა მრეწველობის, რომლის ხელშიაც არის რეიხსვერი.

იგი მონარქიულია, მაგრამ არ სწევს ჰოგენცოლერნების დროშას, რათა არ ჩამოიშორის ხალხთა მასები და ანტანტა. ის სცდილობს მუშათა კლასის დამორჩილებას და ამზადებს ამ დამონავებას სოციალ-დემოკრატიის ნიღაბის ქვეშ.

სტინესს ესმის, რომ ძნელი იქნება გერმანიაში ბატონობა სოციალ-დემოკრატიის და პროფკავშირების წინააღმდეგ. ამიტომ არის რომ სტინესის და შტრეზემანის პარტია ილტვიან სოციალ-დემოკრატიასთან კოალიციისაკენ. როდესაც პასიური წინააღმდეგობა მარცხით დამთავრდა, მათ სრულიად შესწყვიტეს იგი, ეხლა კი ილაშქრებენ საფრანგეთის წინააღმდეგ, ამადებენ რა მასთან შეთანხმებას. 14 მაისს ფაშიზმის ამ „რეალისტების“ საიდუმლო თათბირზე გადასწყდა გამოიწვიონ რურში პროლეტარიატის აჯანყება, რათა იგი ჩაიღრჩონ სისხლში ფრანგების შემწეობით.

გერმანიის კომპარტიამ, არ იცოდა რა არაფერი გამცემლობა შეთქმულების შესახებ, გამოიყვანა რურის პროლეტარიატი ბრძოლიდან ადრე ვე, სანამ ფრანგების ტყვესმფრქვეველები დაიწყებდნენ მუშათ.

ცენტრის ფაშისტებმა ხელში აიღეს ჩუმად ძალა-უფლება, იმალებიან რა ისინი საპარლამენტო კულისებში, რათა დაეძინონ პროლეტარიატი. ეხლა ისინი ამზადებენ თავდასხმას, გერმანიის მუშათა მოძრაობის ცენტრის,—საქსონიის და ტიურინგიის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც ფრანგულმა ხიშტებმა უნდა შეაკავონ რურის ბრეინის ოლქების პროლეტარიატი.

რეიხსვერი გარს ერტყმის საქსონიას და ტიურინგიას და იესება ფაშისტური ორგანიზაციებით. გენერალი სეტტი ამზადებს ეხლა სახელმწიფოებრივ გადატრიალებას დარწმუნებულია რა,

გავარიის სოციალ-დემოკრატების პოზიცია

ბერლინი. 7 ოქტ. ბავარიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოუწოდებს პარტიის წევრთ თავდაჭერილობისა და მოთმინებისაკენ და ურჩევენ მაო იბრძოლონ კარის წინააღმდეგ „ლეგალურ ფარგლებში“. „მშრომელ მასებს,—ნათქვამია მოწოდებაში,—უნდა ახსოვდეს, რომ ეხლანდელ მომენტში პირველათ ყოვლისა საკიროა სახელმწიფოს მთლიანობა“, მოწოდება მოწმობს, რომ სოციალ-დემოკრატები უძლურნი არიან შეაჩერონ გამოსვლისათვის გამზადებული მუშები.

პრესას აღრჩობენ

ბერლინი 7 ოქტ. გესლერმა 7 დღის ვადით აკრძალა დემოკრატიულ გაზეთის „ბერლინერ ფოლკსცეიტუნგ“-ის გამოსვლა კიუსტერნის ამბების გამოქვეყნებისათვის, რაიც მთავრობის მიერ აკრძალული იყო. სამხედრო ხელისუფლების მოქმედებას აღშფოთებაში მოჰყაყს მთელი ბერლინის პრესა.

სტინეს-დეგუტის მოლაპარაკება

ბერლინი. 7 ოქტ. დიუსელდორფში ერთმანეთს შეხვდენ სტინესი და დეგუტი. გარჩეული იყო საკითხი რურში მუშაობის განახლების შესახებ. სტინესმა წინასწარ ინახულა საპროგიდლეში მყოფი კრუპი, რომელთან ერთად გამოიმუშავა მუშაობის პროგრამა.

სოციალ-შემთანხმებელები ლაყბოზენ

2-რე ინტერნაციონალის და ამსტერდამის პროფინტერნის მოწოდება

პარიზი. 7 ოქტომბერი. 2-ე ინტერნაციონალმა ამსტერდამის პროფინტერნთან ერთად გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება: „გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის მუშები თანხმდებიან სარეპარაციო საკითხში. გერმანიამ უნდა აღადგინოს ომისაგან დანგრეული ოლქები. მოკავშირეებმა უნდა გააუქმონ მოთხოვნილება გერმანიის მიერ სამხედრო ანაზღაურებათა გადახდის შესახებ, გააუქმონ მოკავშირეთაშორისო ვალები და გადასვრას სარეპარაციო საკითხი საერთაშორისო სესხის საშუალებით. რურის ოკუპაცია არის საერთაშორისო უფლების დარღვევა. პუანკარეს პოლიტიკამ გამოიწვია მხოლოდ გერმანიის ეკონომიური კრიზისი, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს მთელი ევროპის ფინანსურობა. შეერთებულმა შტატებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ევროპის აღდგენაში. ყველა ქვეყნის მუშებმა უნდა გააორკეკონ ძალ-ღონე მშვიდობიანობის საქადაგებლად“. მოწოდება მოითხოვს გერმანიის დაკავებულ ოლქებსა და დანარჩენ ოლქებს შორის თავისუფალ მიმოსვლას, რურიდან გადასახლებულ პირთა დაბრუნებას, საჯარდებულო ფიცის გაუქმებას, რურში მომუშავე გერმანელებისათვის და გერმანიის მოხელეებს მიერ მუშაობის დაუყოვნებლივ გაწახლებას.

მოწოდება არაფერს არ ამბობს, თუ რა გზით უნდა იქნას მიღწეული აღნიშნული მოთხოვნილებათა შესრულება.

ტერორი გულგარეთში

განუწყვეტელი ტერორი.

ვენა. 7 ოქტომბერი. მთავრობის ტერორი ბულგარეთში უმაღლესწერტილს აღწევს. მაკედონელთა დამსჯელი ექსპედიციები მასიურათ ხერტენ დაპატიმრებულ კომუნისტებს და გლეხებს. პოლიციამ დაუპატიმრა 15 კომუნისტისაგან შემდგარი კომისია, რომელიც შეკრებილი იყო ბულგარეთის კომპარტიის რეორგანიზაციის საკითხის განსახილველათ. ჩრდილოეთ-ბულგარეთში დაპატიმრებულთა შორის არის ყოფილი დეპუტატი და კომფრაქციის წევრი, მალენი. აჯანყების მონაწილეების საწინააღმდეგო ძიება სწარმოებს დაცვის გარეშე. მთავრობის პრესა ავრცელებს ხმებს მრავალ დაპატიმრებულთა თვითმკვლელობის შესახებ.

თვით ნაციონალ-ლიბერალური ორგანო „ნეზოკისიმოსტ“-ი აღიარებს, რომ მთავრობას არ მოეპოება მასალები თითქოს 17 სექტემბრისათვის განზრახულ გადატრიალების შესახებ.

სახალხო კრების არჩევნების გადადება.

ვენა. 7 ოქტომბერი. „აგრარ-ერ ტაგიბლატ“-ის წარმომადგენლებთა საუბრის დროს ცინკოვმა განაცხადა, რომ მომხდარი ამბების გამო, სახალხო კრების არჩევნები გადაიდება 11 ან 18 ნოემბრისათვის.

გერმანიის მაგალითის მიხედვით.

ვენა. 7 ოქტომბერი. მინისტრმა კაზასოვმა (სოციალ დემოკრატი) განაცხადა, რომ ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიის თანამშრომლობა ბურჟუაზიულ პარტიებთან არჩევნების შემდეგ, ალბათ, გამოიწვევს კოალიციის შედგენას. გრძელდება მოლაპარაკება ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის არჩევნებში შეთანხმებულათ გამოსვლის შესახებ.

საგზოლთა კავშირი და უცხოეთი

პეკინის უნივერსიტეტის წარმომადგენელი მოსკოვში.

მოსკოვი. 8 ოქტომ. მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის პროფესორი ლიუ, რომელიც გამოგზავნა პეკინის უნივერსიტეტმა რუსეთში სახალხო განათლების მდგომარეობის გასაცნობათ.

ლიუმ ინახულა სახალხო განათლების განყოფილების სანიმუშო დაწესებულებათა მთელი რიგი; განსაკუთრებული ყურადღება მან მიაქცია მუშათა ფაკულტეტებს, მათ კოლოსალურ შემადგენლობას და სწავლების მეთოდებს მუშფაკებში. ყოველივე ამან ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლიუზე.

პროფკავშირების განაგრძობენ.

ლონდონი. 7 ოქტ. რაკოვსკის ჩასვლა იწვევს საყოველთაო ინტერესს. „დეილი ტელეგრაფ“-ი „მორნინგ პოსტის“ შემდეგ ცდილობს სახელი გაუტეხოს რაკოვსკის და იმეორებს გაცვეთილ თეზისებს პროპაგანდის შესახებ და უყენებს მას უსაფუძვლო ბრალდებას ბულგარეთის რევოლიუციაში მონაწილეობაზე. ლონდონის და პროვინციის სხვა გაზეთები რაკოვსკის ჩამოსვლას უფრო კეთილგანწყობილათ უცქერიან.

„გლაზგო გერალდი“ სწერს, რომ რაკოვსკი სარგებლობს ჭკვიანი, გამბედავი პოლიტიკოსის და ნიჭიერი ადმინისტრატორის რეპუტაციით.

„ბრეიფორდ“-ი აცხადებს რა, რომ ლაპარაკობს მუშათა კლასის სახელით, სწერს გაზ. „ნიუ ლიდერ“-ს: „საბჭოთა მთავრობამ აირჩია წარმომადგენლათ ლონდონში ერთი-ოთხთაგანი, რომელიც ყველაზე უფრო ხელს უწყობს რუსეთის აღდგენას“.

ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება

საფრანგეთის პრესა კერზონის სიტყვის შესახებ.

ბერლინი. 8 ოქტომბერი. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად, **კერზონის სიტყვამ ვერ გამოიწვია კმაყოფილება პარიზის მთავრობის წრეებში, რადგან წინეთ ფიქრობდენ, რომ კერზონი უარს იტყვის საფრანგეთის პოლიტიკის კრიტიკაზე, რაც ნაგულისხმევი იყო ბალდვინის განცხადებაში საფრანგეთთან დაახლოვების შესახებ.**

„მატენ“-ი სწერს, რომ კერზონის სიტყვა შეიცავს საფრანგეთისათვის ბევრ შეურაცყოფელ განცხადებას.

„ეკო დე პარი“ ფიქრობს, რომ კერზონის სიტყვა ზედმეტათ ჭქონის აზრთა გაცვლა-გამოცვლის გაგრძელებას.

„გოლუა“ აცხადებს, რომ კერზონმა თავისი სიტყვით ნაკლი და-ასხა ცეცხლზე.

„ეგრ“-ი კერზონის სიტყვას სთვლის მძიმე ბრალდებათ ჰუანკარეს მიმართ.

ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტი გაცოცხლდა.

ბერლინი. 8 ოქტომ. პარიზის პრესა ძლიერ გულ-გატეხილი დარჩა ბრიტანთა-იმპერიის კონფერენციაზე კერზონის მიერ წარმოთქმულ სიტყვათ. „ეკო დე პარი“ აცხადებს, რომ კერზონის სიტყვის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტი კვლავ გაცოცხლდა.

სხვადასხვა

ოსმალეთი

ოსმალეთის რესპუბლიკა.

ანგორა. 7 ოქტომბერი. სახალხო პარტიამ გადასწყვიტა გამოაცხადოს ოსმალეთში რესპუბლიკა.

იაპონია

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი.

ოსაკა. 7 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა მინისტრმა იშუანმა გაზეთ „ოსახი“-ს თანამშრომელს განუცხადა, რომ მომავალ რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების დროს ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება საკითხს თევზის ჭერის კონვენციის შესახებ.

სამხრეთ-სლავია

ბულგართა დეტალვილების მხარეზეა ვენა. 8 ოქტომბერი. (მოსკოვით) სამხრეთ სლავიის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზადაა ბულგარლტოლვილების დასახმარებლად და მათ სამხრეთ სლავიის პროვინციებში დასასახლებლად.

ვინ არის დამნაშავე ბულგარეთის აჯანყებაში?

ნიუ-იორკი. 8 ოქტომბერი. (მოსკოვით) გაზ. „ნიუ-იორკ ტრიბუნის“ სოფიელი კორესპონდენტები იტყობინება, რომ თვით ბულგარეთის მთავრობამ გამოიწვია აჯანყება მასების კომუნისტებზე სისტემატიური წაქეზებით. ამ ჟამად ბოლგარეთის ნამდვილი ბატონ-პატრონი არის „ოფიცერთა ლიგა“, ამ ლიგას მეჩიდრო კავშირი აქვს მეფე ბორისთან და ოცნებობს ბალკანეთში ბულგარეთის იმპერიის შექმნაზე და ბულგარეთის სახლვრებში მაკედონიის, ფრაკიის და დობრუჯის მოკცევის შესახებ. გლეხების და კომუნისტების მთლიანი—ფრონტი ლიგის დიქტატურისთვის სამაგიერო პასუხი იყო. კომუნისტების გლეხობასთან კავშირი აერთიანებს ბულგარეთის მოსახლეობის სამოცდახუთმეტ პროცენტს მიზეზი იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატები მიღებულნი იყვენ კოალიციაში, იყო შიში წითლების გამოსვლის წინაშე; ეხლა კი წითლები უძლურნი არიან“.

პორტუგალია

აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ.

რომი. 8 ოქტ. როგორც გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ი იუწყება, რომ პორტუგალიის ჩრდილოეთ ნაწილში იფეთქა ჰომეკის კაბინეტის მოწინააღმდეგეთა მიერ დაწყებულმა აჯანყებამ. სარკინისგზო მიმოსვლა გაწყვეტილია.

სპარსეთი

ნიუიგორკოდის ბაზრობა და ინგლისის ვაჭრობა სპარსეთში.

თეირანი. 7 ოქტომბერი. ნიუიგორკოდის ბაზრობის მოხსნას და ინგლისის საქონელისადმი ბოიკოტის გამოცხადების გამო, ფასები ინგლისს საქონელზე სპარსეთზე დაეცა 25 პროცენტით.

ზეთილ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ამინდი.

მოსკოვი. 8 ოქტომბერი. უკანასკნელ ათი დღის განმავლობაში ს. ს. რ. კ. დასავლეთ ნახევარში იდგა ზომიერ-წვიმებიანი ამინდი, რაც ხელს უწყობდა ანეულების თესვას. გვაღლა, რომელიც იყო წინა პერიოდში რ. ს. ფ. ს. რ. სამხრეთ ნაწილში და უკრაინაში, გადავიდა ეხლა აღმოსავლეთით. თესვა შეჩერდა.

ავღანისტანის დელეგაცია.

მოსკოვი. 8 ოქტომბერი. მოსკოვში საკავშირო გამოფენაზე ჩამოვიდა ავღანისტანის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე მირ-გულიან-ახმედხანი.

100 დეხიატინა მიწა—დაპატიმრებულ რევოლიუციონერებს.

ნიკოლაევი. ნოგო-ოდესის მაზრის გლეხებმა გამოჰყვეს საერთაშორისო მუშათა დახმარების ორგანიზაციის სახარგებლოთ 100 დეხიატინა მიწა.

თურქესტანის მორწყვა.

მოსკოვი 8 ოქტომბერი. შრომის და თავდაცვის საბჭომ მისცა თურქესტანის წყლის სამმართველოს 1 მილ. ჩერვონეცის მანეთი სარწყავი მეურეობის გასაგრძელებლათ თურქესტანში.

ეხერების თვითლიკვიდაცია.

პსკოვი. 8 ოქტომბერი ყველა მაზრებში ტარდება ყოფილ ეხერების კონფერენცია. პსკოვში პარტიიდან გამოვიდა 28 ეხერი, ს

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გერმანიის მუშათა დახმარების ცენტრალურ კომისიისაგან

წინადადება ეძლევა ყველა საქალაქო და სამაზრო კომისიებს და აგეთვე შემოწირულებების მიმღებ გაზეთების რედაქციებს, **მიღებული შემოწირულებები ჩაბარონ ცენტრალურ კომისიას გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში.**

შემოწირულება ნატურით შეიძლება და უნდა იქნეს მიღებული უმთავრესად. **გლეხებისაგან;** შემოწირულებათ მიღებულ იქნეს შემდეგი საგნები: ფეტანო, მატყლი, ერბო, ყველი, ხორბალი, კართოფილი, ნიგოზი, ჩაი და სიმინდი.

ადგილობრივი, სამაზრო და რაიონული კომისიები შემოწირულებებს აბარებენ ადგილობრივ კოოპერატივებს. შემოწირულებათა სია დაუყოვნებლივ იგზავნება ცენტრალურ კომისიაში, ხოლო ასლი—ცეკავშირში შემოწირულების მიმღები კოოპერატივის ხელისმოწერით.

ცეკავშირს ანგარიშს გაუსწორებს ცენტრალური კომისია.

სათანადო განკარგულება ცეკავშირის მიმართ უკვე გაცემულია.

გერმანიის მუშათა დახმარების ცენტრალური კომისია

ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს:

ამხ. ნ. კიკნაძის გამოწვევის საპასუხოთ შემომაქვს 1 ჩერვონეცი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) კოტე ცინცაძეს, 2) ლიუსია პეტროვს, 3) ვასიკო წიფლიანიძეს, 4) კოლია ოკუჯავას, 5) იოსებ სტანსკის, 6) ფორეიკა ქავთარაძეს, 7) საშა იოსელევიჩს, 8) ბაჭუა აუკრაშვილს, 9) ლადო აბაშიძეს, 10) ლევან გამყრელიძეს, 11) ვალიკ ბახტაძეს, 12) დათიკო ლორთქიფანიძეს, 13) ამბერიკი ურუშაძეს, 14) მიხა გახოკიას.

ა. ჩიჩელაშვილი.

ამხ. კოლია კიკნაძის გამოწვევის გამო შემაქვს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებელ ფონდში ჩემი წვლილი 1 ჩერვონეცი და ვიწვევ ჩემის მხრივ შემდეგ ამხანაგებს:

1. ალ. ეოტიკაშვილს, 2. კოწია ხომერიკს, 3. პ. კიკალეიშვილს, 4. ვალოდია ხუტუსაიშვილს, 5. გერმანე მგალობრიშვილს, 6. კოლია სოკოლოვსკის, 7. ილიკო მამულიას, 8. კოსტა ჩხენკელს და საქართ. სახალხო ბანკის გამგეობის წევრთ: იასონ ლორთქიფანიძეს, რაჟდენ დუმბაძეს, იასონ მენაბდეს და ლევან ხუნდაძეს.

ბარონ ბიბინეიშვილი.

ამხ. ნ. კიკნაძის გამოწვევის საპასუხოთ შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში სამოცი მილიონი მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ ჩვენი გაზეთის ყველა თანამშრომლებს და მუშაკორებს; ვიწვევ აგრეთვე შორაპნის სამაზრო აღმასკომის და ხარაგაულის რაიონის სათემო აღმასკომებს. პირადათ ამხ. ა. ქავთარაძეს, ა. ბუაჩიძეს, ი. შარიქაძეს, ტ. შარიქაძეს და ი. ფოფხაძეს.

ი. ბუაჩიძე.

ამხ. ნ. კიკნაძის გამოწვევის საპასუხოთ შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში 50 მილიონი მან. და ვიწვევ ჩემის მხრივ შემდეგ ამხანაგებს: გაიოზ დევდარიანს, ვასიკო დარახველიძეს, ვალოდია გოგეშვილს და ლუკა ლომიძეს.

კ. ორაგველიძე

გერმანიის პროლეტარიატს მის თავგანწირულ ბრძოლაში რომ დახმარება ესაჭიროება, ამას ერთხელ კიდევ მომგონებს გაზეთ „კომუნისტის“ № 231. გირდგენთ რა ამასთანავე ერთ ჩერვონეცს, ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. კვარაცხელია მოსე 2. მირიტაძე ლევანი 3. თოდრია სილია 4. ქუჩიძე ნოე. 5. კვირიკაძე არტემი, 6. ზარიკაშვილი მიშა, 7. ბარლია მირიანი, 8. მეტაქსა კოსტა (თამბაკოს ტრასტი), 9. ძიძიგური გიორგი (ტფ. აღმასკომის მთავარი ბუღალტერი)

გრიშა გოგოტიშვილი.

გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ცენტრალურ კომისიას.

ვარდგენ ას მილიონ მან. გერმანიის რევოლიუციის დახმარების ფონდში და მოუწოდებ დახმარებისაკენ შემდეგ ამხანაგებს: **ერასტი წიფლიანიძეს, დათიკო მახარაძეს, ილიკო ებრალიძეს და ვასო ბახტაძეს.**

ე. გოგოლაძე.

შემოვიდა 9 ოქტომბერს.

ამხ. **ჩიჩელაშვილისაგან**—1 ჩერვ., **გ. გოგოტიშვილისაგან**—1 ჩერ:., **ბ. ბიბინეიშვილისაგან**—1 ჩერვ. **ს. გოგოლაძისაგან**—100 მილ. მან., **ი. ბუაჩიძისაგან**—60 მილ. მან., **კ. ორაგველიძისაგან**—50 მილ. მან., **ი. კაკაბაძისაგან**—10 მილ. მან.; სულ 3 ჩერვ. და 220 მილ. მან. (ა. კ. ფულის ნიშნებით).

წინათ შემოსულით (4 ჩერვ. და 178 მილ. მ.)—7 ჩერვ. და 398 მილ. მან.

რიალისტები მოინდომებენ გერმანიის რევოლიუციის ჩაქრობას. იმ შემთხვევაში თუ გერმანიის პროლეტარიატი აჯანყდა, პოლონეთისა და რუმინიის იმპერიალისტები შეეცდებიან საბჭოთა რესპუბლიკებზე გალაშქრებას.

საბჭოთა ქვეყანა უდიდეს ამბების წინაშე სდგას; იმის მოლოდინში, რომ გაერთიანებული იმპერიალისტური ფრონტი მოინდომებს ჩვენზე შეტევას, ჩვენ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, გვჭირია სრული ერთსულოვნება და მზად ყოფნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის დაცვისათვის.

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა მასების მზად ყოფნას ბრძოლისათვის, რომელიც მიმართული იქნება თავის შრომის რესპუბლიკის დაცვისაკენ!“

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(8 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	59,500
გრ. სტერლინგ. ეფექტ.	54,200
ჩეკები —	49,550
დოლარები ეფექტ —	12,400
ჩეკებია	11.550
ოქმ. ქაღ. ლირა	6.800
იტალიური ლირა	360
ფრანგული ფრანკი	540
საბჭ. ფულის ნიშნები	13

ბირჟის მოთხოვნილება.

(8 ოქტ.)

ძელქვა. რკინეულობა ურალის. აბრეშუმი დაურთავი. ელექტრონის ლამპიონები. ჩაი. ნედლი ტყავები. ქვა-მარილი ნახიჩევანის და ბახმუტის.. მატყლი.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(8 ოქტომბ.)

დღეს ჩერვონცების და უცხო ვალუტის კურსმა შესამჩნევად აიწია. მოთხოვნილება დიდია.

ბირჟის მიწოდება.

(8 ოქტომბერი).

ლურსმნები. ფხვნილი შაქარი (ყვითელი) ცენტროკავშირის ჩაი. მაკარონი კრასნოდარის, იტალიური მანუფაქტურა. საწერი ქაღალდი და კარტონი. რუს. ქაღ. ფართლეულობა. ტომრები. კაუსტიური სოდა ქიმიური ნაწარმოები. ასანთი. რუს. სპირტი. ზეთი. ფქვილი ყუბანის 1 ხარ. ევქალიპტის ზეთი. კონიაკის სპირტი. რკინეულობა.

საძოვლის ბაზრის განწყობილება.

(8 ოქტომბ.)

საერთო განწყობილება ტფილისის საქონლის ბაზრისა: ხორბლის და პურეულის ბაზარზე მტკიცეა; დანარჩენ ბაზრებს საგრძნობი ცვლილება არ ეტყობა.

ბირჟის ფასები.

6 ოქტომბერს დადებული იყო მხოლოდ ერთი ბირჟის გარეშე გარიგება, 2506 მან. (ჩერვ) თანხისა.

მუშკოკის ფასები.

(8 ოქტ.)

პური 1 ხარ.—320 ათ., პური 2 ხარ.—250, ძროხის ხორცი—1 მილ., ცხვრის ხორცი—1400 ათ., შაქარი რაფ. 2800. ფხვნილი შაქარი —2,355, ბრინჯი აღდაზის 620, მაკარონი—950, კარტოფილი—115.

ტფილისის ბაზრის ფასები

(8 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ.—350—400 ათ., პური 2 ხარ.—250, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფ.—2750—2800 ათ., ფხვნილი შაქარი—2350, ბრინჯი აღდაზ.—700 მაკარონი 1 მილ. კარტოფილი 125—150.

ამერიკავკასიის საბაჟოებში დაგროვებულ საქონლის ლიკვიდაციის შესახებ

საგანგებო კომისიამ შემდეგი წესი გამოიმუშავა საბაჟოებში დაგროვილ საქონლების ლიკვიდაციისათვის. საქონლები იყოფა ოთხ ჯგუფად:

საქონლები, რომლებსაც გაუვიდა შენახვის ვადა და რომელთა შესახებ გაკეთებული იყო განცხადებები, უნდა გაყიდულ იქნენ აუქციონით კანონიერ წესის თანახმად. იმ საქონლების შესახებ, რომლებზედაც განცხადება გაკეთებული არ იყო, გამოცხადდეს ერთი კვირის განმავლობაში და კანონიერ ვადის გასვლის შემდეგ საქონლები გაიყიდოს აუქციონით.

ნაკლებ ფასიანი ან მცირე რაოდენობის საქონლები, რომლებიც აღნუსხული არიან განსაკუთრებულ სიაში, აგრეთვე გაყიდული იქნება საათანადო წესით წინასწარი წინადადების გაცემით გატანის შესახებ. საქონლები კი, რომელთა შემოტანა აკრძალულია საბაჟოს წესდებით, უნდა გადაიცეს საათანადო სახელმწიფო ორგანოებს.

ვინაიდან ამიერკავკასიის საბაჟოთა სამმართველოს წარმომადგენლის მიერ განცხადებულია, რომ საბაჟოებში დაგროვილ სპირტს სეკვესტრი ეყო,—კომისიამ დაადგინა შეეკითხოს ამიერკავკასიის საბაჟოთა სამმართველოს მის განკარგულებაში დარჩენილ სპირტის სწორ რაოდენობის შესახებ და შემდეგ მოხსენება წარუდგინოს ამიერ.-კავ. სახალხო კომისართა საბჭოს ამ სპირტის გამოყენების შესახებ. საბაჟო თავის მხრით მიზანშეწონილათ სთვლის სპირტის განაწილებას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს შორის სამკურნალო საჭიროებისათვის.

რაც შეეხება იმ საქონლებს, რომელთა დაგროვილ გადასახადების ჯამი მათი საბაზრო ფასებს აღემატება, აგრეთვე გაიყიდება იმ შემთხვევაში თუ განცხადების შემდეგ ისინი კიდევ დარჩებიან საბაჟოში.

1923—1924 წლისთვის ანარეშუმის პარკის სამეცნიერო კონტინგენტის დაფესვების შესახებ.

საქართველოში ახალ აბრეშუმის სართავ. ქარხნის დაარსებისა და აზერბაიჯანში მეაბრეშუმეობის პროგრამის გაფართოების გამო. ამ რესპუბლიკებისათვის პარკის საკმაო მარაგის უზრუნველყოფის მიზნით, ამიერ.-კავ. საგარეო ვაჭრობას სახ. კომისარიატმა დაადგინა პარკის საექსპორტო კონტინგენტი შემდეგი:

აზერბაიჯანში—7.660 ფუთამდე.
საქართველოში—21.000 ფუთამდე.
და სომხეთში—750 ფუთამდე.

ტფილისის საქონლისა და საფოსტო ბირჟის ფასთა საზოგადო კრება

(დასასრული იხ. „კომუნისტი“ № 230).

ა. | ქ. საბირჟო კონფერენციის შესახებ.

ამ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს საფარიანი. რუსეთის ბაზრებთან დაკავშირებაო, ამბობს ის, იწვევს ჩვენი ბირჟების რეორგანიზაციას, რასაც ამ.-კავკასიის ბირჟის პირველმა ყრილობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია. მთლიანი ვალიუტის შექმნა დიდად შეუწყობს ხელს ბირჟების ახალ საფუძველზე აგებას და მუშაობას. საამისოთ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია ფინსახკომის მიერ, რომელმაც გადასახადების მთელი სისტემა ჩერვონეცებზე გადაიტანა.

კონფერენციაზე დაისვა კითხვა არსებული აპარატის საკმარისობის შესახებ; პასუხი დადებითად იქნა გაცემული, მაგრამ ამასთან საჭიროდ იქნა ცნობილი ნედლი მასალის პუნქტებში საქონლის ბირჟის სააგენტ. შექმნა, რომელიც უახლოეს ბირჟებს დაექვემდებარებიან. კონფერენციამ განიხილა სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებთან ურთიერთობის საკითხი და დადგენილ იქნა, რათა ყველა გარიგებანი ვალიუტაზე ბირჟის საშუალებით სწარმოებდეს, გარდა განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევებისა. დადგენილ იქნა ბირჟებთან შეიქმნეს საექსპერტო, საარბიტრაჟო და საკონსულტაციო კომისიები. კონფერენციამ დიდი ყურადღება მიაქცია კერძო კაპიტალისა და სახელმწიფო-კოოპერატიული კაპიტალების დაკავშირების საკითხს და ხაზგასმული იქნა ბირჟების როლი ამ საქმის მოგვარებაში. კონფერენციამ საკრთო ეკონომიური ორგანიზაციების გასაერთიანებლად.

სხვადასხვა საკითხები.

განხილულ იქნა შავ ბირჟასთან ბრძოლის საკითხიც. მათი რეპრესიული ზომებით აღკვეთა შეუძლებელი არის; საჭიროა ორგანიზაციული ბრძოლა მათთან. ნაწილი შავ ბირჟის ელემენტებისა ჩვენსკენ ისწრაფვის, დანარჩენი კი წვრილი ოპერაციების მწარმოებელნი არიან; მათი მოსპობისათვის დაარსებულ უნდა იქნენ დასახურადავებელი დუქნები და აგრეთვე შემნახველი სალაროები.

საფარიანის მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ტფილისის ბირჟის წევრთა საერთო კრება კონფერენციის მუშაობის ნაყოფიერად სცნობს და სურვილს გამოსოქვამს, რათა დაუყოვნებლივ ცხოვრებაში იქნენ გატარებულნი კონფერენციის მიერ დასახული ყველა ღონისძიება.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება სამოქალაქო ავიაციის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა შეძენილ იქნას სააქციონერო საზოგადოების „ზაკავიას“ 100 აქცია, თითოეული 10 მან. ღირსებულებისა და ფასი გადახდილ იქნეს 3 თვის განმავლობაში.

დასასრულ მოხდა საბირჟო კომიტეტის ერთი წევრის არჩევა: წევრად არჩეულ იქნა კირიმოვი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: სახელმწიფო დაწესებულებებიდან—მესხი; კერძო პირებიდან—გეგეშორქვი და კოოპერაციიდან—ეგოროვი.

სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებათა გამგეების მე-2-ე ყრილობა

საბინაო კოლიტიკის შესახებ.

(მომხსენებელი ამხ. ბ. ფურცხვანიძე)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო და სამოქალაქო ომებმა უკიდურესად გაამწვავა საბინაო კრიზისი. 1922—23 წ. წ. არის საბინაო საკითხში ახალ ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლის ხანა, რომელიც უმთავრესად ხასიათდება: ა) ბინების უფასოდ სარგებლობის საბოლოოდ ლიკვიდაციით; ბ) საბინაო საჰიერარქიის გადაწყვეტაში ადმინისტრატიული ჩაურევლობით; გ) საცხოვრებელ სივრცის ნორმის დაწესებით და დ) კომუნალურ საბინაო ფონდის შექმნით. ყველა ხსენებული პრინციპები ცხოვრებაში ყოფილა გატარებული სახ. კომის. საბჭოს მე-9 № დეკრეტით, რომელიც უფრო პალიატიურად უდგებოდა საკითხს, ვიდრე არსებითად. ამ გარემოებამ გამოიწვია ადგილობრივ ხელისუფლების მიერ მისი სისტემატიურად დარღვევა, რამაც უფრო გაამწვავა საბინაო კრიზისი.

საბინაო საკითხი იქცა ისევ რთულ გამოცანად კომუნალურ მეურნეობაში, წამომჭრილ საკითხთა შორის, და საბინაო კრიზისი ისევ გრძელდება. საბინაო კრიზისიდან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ საცხოვრებელ სივრცის ეაფართოებით ე. ი. დანგრეულ მეურნეობის შენობათა შეკეთებით, დაწყებულის დასრულებით, ახლების აშენებით ამ მიზნების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ადმშენებლობის ხელის შეწყობა. ადმშენებლობის ხელის შეწყობა კი შეიძლება მხოლოდ შემდეგი ზომების მიღებით: ა) საბინაო-საადმშენებლო ამხანაგობების დაარსებით, ბ) საადმშენებლო საქმისათვის სესხების გაღებით კომუნალური ბანკის საშუალებით, გ) კომუნალურ დაზღვევის შემოღებით, ე) მუნიციპალურ სახლების ფონდის შექმნით პროფკავშირებისთვის გადასაცემად, ვ) მუნიციპალურ, ნაციონალურ და კერძო მფლობელობის სახლების სრული რეგლამენტაციით ე. ი. კერძო მეპატრონეთათვის უფლებრივი გარანტიის შექმნით, ი) საბ. ნაო საჰიერარქიაში ადმინისტრატიული ჩაურევლობით, ზ) საბინაო ორგანოთა სრული რეორგანიზაციით და სხვა.

დაბოლოს მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საბინაო საკითხი დღესდღეობით არის უმთავრესი მოძაენა კომუნალურ მეურნეობის განყოფილებისთვის და მის რაციონალურად გადაჭრისთვის საჭირო არის მიპყრობილ იქნას ადგილობრივ ხელისუფლებათა მთელი ყურადღება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

სალაბოს სხდომა.

კომუნალური ბანკის დაარსების შესახებ.

(მოხსენება ამხ. გიგინეიშვილის)

მომხსენებელმა თავის მოხსენების დასაწყისში აღნიშნა, თუ რამდენად იმოქმედა ომებმა რუსეთსა და საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე. ამის დასაძლევად მოკავშირე სახელმწიფო რუსეთმა უკვე გადასდგა სათანადო ნაბიჯები და კომუნალურ მშენებლობის აღორძინებისთვის დაარსდა კომუნალური ბანკები რუსეთის საზღვრებში. საქართველოს შ.ს.ს. კომისარიატის მთავარ კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ აუცილებლად სცნო და გაითვალისწინა-რა მისი უაღრესი მნიშვნელობა, გადასწყვეტა დაეარსებია აღნიშნული ბანკი საქართველოს ფარგლებში რისთვისაც შეიდგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც ამუშავებს აღნიშნულ ბანკის წესდებას.

მოხსენების შესახებ გაიმართა კამათი. მონაწილეობა მიიღეს ამხ. გავაშელმა და ნანეიშვილმა, რომლებიც აღნიშნავდნენ მის აუცილებლობას.

მიწად-მოწყობა და მიწის ფონდები ქალაქებში.

(მომხსენებელი ამხ. გ. დეკანოზიშვილი).

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიწად-მოწყობას და მიწის ფონდის შექმნას ქალაქებში მიწის დიკრეტის ნაკლება ყურადღება ექცევა, თუმცა ქალაქის პროლეტარიატისთვის აგრარულ პრობლემას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სოფლის გლეხებისთვის.

საქართველოს რევკომის პირველ კანონით სოფლად და ქალაქად მცხოვრებლების მფლობელობის სარგებლობაში რჩება სამოსახლო ადგილები პატარა ბაღებით.

საბირო არის ქალაქებისა და მათი შეურნეობისთვის ქალაქების მიჯნების ზედ მიწევნით გამორკვევა, ნაკვეთებათ გადამიჯვნა და ზედმიწევნითი გეგმების შედგენა.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებმა ინტენსიურად უნდა აწარმოონ სოფლის მეურნეობა, რომელიც შეესაბამება შემოსავალს იძლევა და აძლევს საშუალებას კომუნალურ მეურნეობის აღორძინებისთვის.

„ახალგაზრდა მარქსისტების“ დასტური

(ფურცელი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე შემდეგი:

ჩვენ მე-4 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტები, სრულის შეგნებით ვსტოვებთ ძველ „დემოკრატიულ გზას“ და ვდგებით პროლეტარული დიქტატურის თვალსაზრისზედ. ამიტომ დიდის აღფრთოვანებით ვხვებებთ მიმდინარე კონფერენციებს და აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ მე-4 რაიონის კონფერენციაზე, რომლის მიზანია „ახალგ. მარქსისტთა“ ორგანიზაციის დაშლა.

1. ტიტიკო ეფენტი, 2. შარაშენიძე ლეონიდე, 3. კუტალაძე აკაკი, 4. მშვენიერაძე დავითი, 5. [illegible] გიგოლი, 6. [illegible], 7. ხავთასი [illegible], 8. [illegible] გალაქტიონ, 9. ჯორბენაძე ბენედიქტე, 10. სიხარულიძე აკაკი, 11. შარაშიძე ბენია, 12. ნიკურაძე იონა, 13. მანწკავა ისიდორე, 14. მუჯირი დავითი, 15. იაკობიშვილი გიორგი, 16. ღვალაძე ევგენი, 17. სამანაძე კოწია, 18. ვეფაჯალაძე შიმა, 19. ნაზარაშვილი იოსებ, 20. ივანაშვილი ნიკოლოზი, 21. დოლიძე კოლია, 22. ფურუშაძე ნიკოლოზ, 23. ღლონტი ვარლამ, 24. მაჭავარიანი იოსები, 25. გიორგაძე გედეონი, 26. ლომთათიძე აკაკი, 27. კეკელიძე აბესალომ, 28. მანწკავა ისიდორე.

ხმა „ახ. მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან

მე ვმუშაობდი ახ. მარქსისტთა ორგანიზაციაში 1917 წლიდან.

როდესაც საქართველოში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა, მენშევიკებმა დაიწყეს ალალგარული მუშაობა და მათ გაჰყვა, რასაკვირველია, „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაც“. მიზანი იმ ორგანიზაციის იყო ხელის შეწყობა მენშევიკური ხელისუფლების აღდგენისათვის საქართველოში.

მაგრამ იბადება კითხვა—იყო თუ არა ეს საქმრო? ჩვენ ვამბობთ—არა. საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობა მუშათა კლასზე, იცავს მის ინტერესებს საქართველოში, მთელ საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკებში. ბოლოტად მიმაჩნია ყოველივე არალეგალურ ორგანიზაციების არსებობა; ისინი ხელს უშლიან რევოლიუციის გამარჯვებას. ამიტომ მე გულწრფელად და შეგნებულად გადავდივარ საბჭოთა პლატფორმაზე და მისამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ტფ. მესამე რაიონის ყოფ. „ახ. მ. ორგ.“ ხელმძღვანელი **პეტრე ბაბალიძე.**

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„თმენულება შოთა რუსთაველზე“, დ. არაყიშვილისა. ოპერის სეზონი გაიხსნა დიმ. არაყიშვილის ნაწარმოებით: „თმენულება შოთა რუსთაველზე“. ამ ნაწარმოებისათვის დიმ. არაყიშვილმა შეაქმნა მშვენიერი პოეტური მუსიკა, რომელსაც ახასიათებს გამსჭვირვალე ორკესტროვკა და ინსტრუმენტოვკა; არაყიშვილის ოპერაში ორკესტრს, მართალია, დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ ამასთან ორკესტრი მომღერლებთან ანსამბლში მხოლოდ აკომპანიმენტს აძლევს მათ და ამავე დროს მას ვოკალურ ნაწილისაგან დამოუკიდებელი თავისი განსაკუთრებული მელოდიები და ჰარმონიები აქვს.

მარტო ეს უკვე ამტკიცებს არაყიშვილის დიდ კომპოზიტორულ ნიჭს და მის ცოდნასა და მუსიკალურ მგრძნობიერებას. მშვენიერ მუსიკალურ სურათით ახასიათებს კომპოზიტორი ღრმა დრამას, რომელშიაც კარდინალურ როლს თამაშობს შოთა რუსთაველი და მისი საყვარელი ქალი ნინო.

დამპყრობელ მელოდიებით არის დახასიათებული შოთა რუსთაველის ტანჯვა, რომელიც ხედავს როგორ ღალატობს მას თავისი ცოლი მოსამსახურე ზანგთან; ოპერაში მშვენივრათ არის დახასიათებული აგრეთვე ნინოს ტანჯვა-განცდანი, რომელიც უარყოფილ იქნა საყვარელ ადამიანის მიერ. ყოველგვარ ტენდენციოზობის გარეშე მუსიკა სასურათებს დრამას.

ოპერა იწყება მშვენიერ სარკეტრო შესავლით; მუსიკა სიმბოლიურ ხასიათისაა—ის ასურათებს განთიადს და ეს მშვენივრათ არის გატარებული. კომპოზიტორის მიერ ორკესტრის დინამიკაში, სადაც მელოდიების ხმოვანება თანდათან უფრო ძლიერდება.

მეტათ ლამაზ გლეხის სიმღერას „ურმულს“ საკმაო მუსიკალურათ ასრულებს მოქ. კავსაძე, თუმცა სასურველია უფრო მეტი განწყობილება და ნიუანსები. კამეჩების გარეკვა (რომელთაც, სხვათა შორის, მაყურებელი ვერ ხედავს) ჩვენის აზრით ზედმეტია და ეს არამხატვრული მისწრაფებაა რეალიზმისაკენ. ამ გარეკვას ადვილათ შეუძლია გაეკარგულოს ის შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს აუდიტორიაზე მშვენიერი „ურმული“.

კარგია ნინოს არიოზო (მოქ. ბოკოვა) ის სავსეა გულის მწველ სევდითა და კაეშნით და ნიჭიერი მომღერალი ქალი მშვენიერ განწყობილებას ჰქმნის; სასურველია უფრო მკაფიო დიქცია.

მოქ. სარაჯიშვილს ჩვეულებისამებრ მეტათ მუსიკალურათ მიჰყავს შოთას პარტია და სკენიური გადმოცემა სავსე იყო გრძნობათა და სილამაზით.

პირველ მოქმედებაში დასურათებულია თამარ მეფის სასახლე, სადაც თამარი, გარშემორტყმული სასახლის შტატით, აუდიენციას უმართავს მგოსან რუსთაველს, რომელიც მიართმევს თამარს თავის პოემას „ვეფხვისტყაოსანს“ (ისტორიული ფაქტი). მეტად ლამაზია აქ მგოსანის არია და კიდევ უფრო კარგია პრელიუდიები და პასტელიუდიები, რომელიც თან მისდევენ არიის თვითეულ კუპლეტს; რამდენი პოეზია და რა მელოდიურია ეს პრელიუდიები და პოსტლიუდიები.

მგოსანის არიის სრულიად დამაკმაყოფილებლათ მღერის ახალგაზრდა მომღერალი მოქ. ლორთქიფანიძე; მოგვეწონს ჩვენ გრიმიც და მთელი სცენიური გადმოცემაც.

ნაკლებ მოგვეწონა ჩვენ ცეკვის მუსიკა, განსაკუთრებით ქალების ცეკვა და კაცების ნელი ცეკვა. ის მშვენივრათ დამუშავებული სხვადასხვა მოდულაციებში, მაგრამ ის ნაკლებ სანტერესოა.

ლეკური მეტად კარგია და საუცხოოთ დამუშავებულია ინსტრუმენტოვკისა და ორკესტროვკის მხრივ.

ლამაზია თამარ მეფის არია და ის მშვენივრათ იყო შესრულებული მოქ. რუდენკოს მიერ. (ახალგაზრდა მომღერალმა წელს დამთავარა პროფრიადნოვის კლასი სახელმწიფო კონსერვატორიაში).

გუნდი პოლიფონიური იყო, განსაკუთრებით ფინალში.

ვოკალურ ნაწილის საუკეთესო ადგილათ ითვლება შოთას (ალისა და ზანგის საუცხოვო დუეტი. ის მშვენივრათ იყო შესრულებული მოქ. ეკსანიშვილისა და პოლიაივის მიერ. პოეტური და ბელოდიური შოთასა და ნინოს უკანასკნელი დუეტიც. (მოქ. ბოკოვა და სარაჯიშვილი).

უნაკლოთ და რეალურათ იყო დადგმული ოპერის პროლოგი მარჯანიშვილის მიერ—აქ თვით ცხოვრებაა: მთის პეიზაჟი დი ხის ქოხი ეზოში დაბალი ძეძვის ღობისაგან, რეალურ სურათს აამთავრებს გადაბრუნებული ქვევრი.

მეტად იმპოზანტიურია სასახლის ქალებისა და კაცების სურათი, რომელნიც ჩაცმულნი არიან ერთფერადნათ მეფის ხელისუფლების ემბლემით (ოთთავიან არწივით ღერბებზე); ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო კოლორატიული იქნებოდა, რომ გუნდის მომღერლებს და სტატისტებს ეცვათ ნაციონალური კოსტიუმები.

თამარის ტანსაცმელი მეტად სტილიური და ეპოქისათვის შესაფერი იყო.

ბოლოს, რატომ მოქ. მარჯანიშვილმა მგოსან-იდეალისტის, მგოსან—მოქალაქის შოთა რუსთაველის სახელი წარმოგვიდგინა ჩვენ, როგორც ცხონ.

ჩვენის აზრით საეჭვოა, რომ ეს შეეფერებოდეს სინამდვილეს.

ორკესტრს ხელმძღვანელობდა ვანო ფალიაშვილი.

მუსიკოსი.

— **გრიგოლ რობაქიძის მოხსენება.** კვირას, 14 ოქტომბერს, გაიხსნება ახალი მწერლობის კავშირის ლიტერატურული კვირეების სეზონი. მოხსენებას წაიკითხავს გრიგოლ რობაქიძე თემაზე: „ექსპრესიონიზმი“.

— **ეგ. ნინოშვილის ძეგლი ჩაქვში.** ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად დღესასწაულის დღეს ჩაქვში დიდი ზეიმით მოხდება ეგნატე ნინოშვილის ძეგლის გახსნა.

ახალი ცხოვრების გზაზე

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან საქართველოს სოფელი ახალ გზაზეა შემდგარი, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულ-იდეიურათ. მოისპო ნაშთები საუკუნოებრივი უსამართლობისა, დაინგრა კერპები ცრუმორწმუნოებისა, დავიწყეს ეძლევა მამაპაპათა მიერ ნაანდერძევი ადათ-ჩვეულებები და მათ ნაცვლად მუშავდება ახალი, რომელიც სრულებით სცვლის სოფლის მცხოვრებთა მსოფლმხედველობას და შეგნებას. მთავარი ფაქტორები ამ ცვლილებებისა სოფლად არის მიწადმფლობელობის ახალ საფუძველზე მოწყობა და ანტისარწმუნებრივი კაშანია, რომელმაც ღრმა გამოძახილი ჰპოვა მშრომელ გლეხობაში.

სარწმუნოება და ეკლესია ძმიმე ოდად აწვა მშრომელი გლეხობის გონებას და გზას უღობავდა მას ახალი ცხოვრებისკენ. ამ კერპის დაუმხობლად შეუძლებელია გლეხობის რევოლიუციონური გზით წაყვანა, მისი ეკონომიურ-კულტურულთან ამაღლება. ამიტომ მეტად მუხანბრივია თუ ჩვენ დროს გლეხობის რელიგიური ცრუმორწმუნოებისაგან განთავისუფლების საქმეს უდიდესი ყურადღება ექცევა და ამ მიმართულებით სისტემატიური მუშაობა სწარმოებს. ერთი დაკვრით და ნაჩქარევი გადაწყვეტილებით აქ საქმეს არ ეშველება და შეიძლება ხშირათ წინააღმდეგი შედეგებიც მივიღოთ, სარწმუნოების მოსპობის ნაცვლად პირიქით მის გაძლიერებას შეუწყოთ ხელი.

საქართველოს სოფლებში ეკლესიებს უმრავლესობა დახურულია და გადაკეთებულია კლუბებად; ქორწინება და სხვა სამოქალაქო აქტები უკვე ეკლესიების გარეშე ხდება. მეტად საინტერესო საკითხია თუ რა კეთდება ამ კლუბებში და რამდენათ აკმაყოფილებს ის სოფლის მასის

ჟიჟგათა ცხოვრება

სალამი გერმანელ მუშებს!

გერმანიის მუშებო,
თქვენ კი გენაცვალებით,
განთქმული ხართ ყოველგან
პროლეტარულ ძალებით;
მტრები გვემუქრებიან,
ალარ შეეებრალებით;
დროა, ძველი ქვეყანა
დავსწვათ ცეცხლის ალებით!!...

—

ბევრი დრო გაგვივლია
გამწარებით, წყალებით;
ამხანაგურ საშველად
ხავსენი ვართ ვალებით;
საერთო გასაჭირში
ჩვენც არ დავიმალებით,
ხმალ-ხანჯალს პირს ვულესავთ
ტალკვესით გამალებით.

—

ყველა კარში გამოვალთ
ურო-ჩაქუჩ-ბარებით,
ჰაერს ავაბსაურებთ
თოფით, ზარბაზნებით;
ჰა